ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #62

22 ივნისი, 2021 წელი

15:00 საათი

(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 22 ივნისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. მიხეილ მესხი;
6. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები“ (კოდი: 06 02 09) განხორციელების პირობები, ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურები, დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირება, დაფინანსების ოდენობა და პრიორიტეტული ჯგუფები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პროცედურა, მონიტორინგი და შემოწმების შედეგები. პროექტის მეორე დანართით მტკიცდება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულება, რომლითაც დადგენილია, პირველი დანართით გათვალისწინებული წესით დადგენგენილი მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების თაობაზე. გათვალისწინებულია კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მოქმედი დადგენილებისაგან განსხვავებით, ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს დაემატა ტერმინი - „გადაწყვეტილების განაღდება“, რომელიც გულისხმობს სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის გაცემას. ასევე დაემატა ტერმინი - „ელექტრონული რეესტრი“ - გააქტიურებული და განაღდებული შემთხვევების აღწერა.

პროექტის მიხედვით, შედის ტექნიკური ცვლილებები, მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით ზოგიერთ პუნქტში გასწორებულია ტექსტი. კერძოდ, ყველგან სადაც, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიტეტის თავშესაფარია“ მითითებული, წარმოდგენილი პროექტით მიეთითა - ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ (ს/ნ 406153111) მართვაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი.

განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებში მიეთითა, რომ სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსებისას საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ან/და კერძო დაზღვევის (ასეთი დაფინანსებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) თანადაფინანსების შემდეგ დარჩენილი თანხა არ აღემატება 1000 (ათასი) ლარს. მოქმედ რედაქციაში არ არის მითითება კერძო დაზღვევაზე.

ამასთან, დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირების ნაწილში, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურებას დაემატა ტერმინი - განაღდება, რომელიც გულისხმობს სხვა საჭიროების (მედიკამენტის) დაფინანსების შესახებ

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მედიკამენტის გაცემას. გადაწყვეტილების განაღდება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში.

მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, საქართველოს ფარგლებში არსებული მიმწოდებლის მიერ ანგარიშგებისას წარმოსადგენ დოკუმენტაციის ჩამონათვალში მიეთითა სამსახურის მიერ დადგენილი ფორმის შემთხვევათა ელექტრონული რეესტრი, ნაცვლად რეესტრისა;

ასევე, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს №62-91 დადგენილება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე